**Dachi De Graff**
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
Student at St Dimitri Kipiani School & College,
(Supervisor – Professor David Mirotadze)

# BRITAIN DURING WWII

(Abstract)

KEYWORDS: WWII, Battle of Britain, RAF (Royal Air Force), Luftwaffe, Blitzkrieg, British Royal Family

I was born 60 years after the end of WWII. Furthermore, both my grandparents belong to the postwar generation of babyboomers. Gen Zers like me can only learn about WWII through books, films, museum exhibitions and war stories told by elderly people. There are many reasons which boosted my interest in the same 'old' story.

This prolonged battle is not called World War for propaganda purposes but because it is the largest war in human history so far. All the leading countries of the 20th century ended up been involved in it. Nazi Germany, the Kingdom of Italy, and the Empire of Japan were on one side while the United Kingdom, France, Soviet Union, Canada, USA, Australia, New Zealand, India, and China stood on the other side. The major battles were fought on three continents: Europe, Asia, and Africa. The military clashes have also taken place in the Pacific, Alaska, Greenland, Antarctica, Tibet, Iraq, Iran, Ethiopia, Somalia, and Suriname. It is a historical irony for Afghanistan, the only country that has successfully stayed neutral through WWII and neither suffered an attack nor attacked any other country itself, that today it is one of the hottest war zones on the world map.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Overall, 61 countries participated in World War II, which was more than 80 per cent of the world population back then. The military action covered the territory of 40 countries. 60 million people lost their lives in this war, 40 million of whom were civilians. According to some data, the death toll even reached 80 million.

Due to the tense political situation worldwide, some experts and analysts, as well as the members of the public, periodically discuss the possibility of World War III. The list of countries that suffer of ongoing armed conflict for years is long enough to clearly unveil the problem the modern society faces: Afghanistan Civil Wars, Iraqi Civil War and insurgency, Syrian Civil War, Libyan Civil War and following Crisis, Yemeni Crisis, Somali Civil War, Kurdish-Turkish conflict, Israeli-Palestinian conflict in Gaza, Kashmir conflict and 2019 India-Pakistan standoff, Insurgency in the Maghreb, recent outbreak of US-Iran tensions to name but a few. In such a reality, analysing past mistakes and understanding reasons behind them could help us solve current problems and find ways to avoid making the same mistakes again. Therefore, it is essential to study the lessons of history. As WWII is a giant topic, I focus my research around the Battle of Britain and the Blitz, which are distinctive phases of World War II.

The exact date of the outbreak of WWII remains controversial up to these days. However, this is logical since such a large-scale war could not begin in a day or in one place. Naturally, there are several important dates for its gradual intensification.

The main cause of WWII is the conquest wars conducted by the Axis powers with a purpose to gain world control. Therefore, the first step towards World War II was made by Japan by invading Manchuria on 18 September 1931.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Then Benito Mussolini, the Fascist leader of Italy, launched the annexation of Ethiopia, which lasted from 3 October 1935 to May 1936. The provinces of Eritrea, Italian Somaliland and Abyssinia (Ethiopia) were united to form the Italian Empire of Ethiopia with the city of Addis Ababa as its capital; Italian King Victor Emmanuel III was proclaimed emperor. It was this 'victory' that contributed to the political advance of Il Duce. Some history scholars suggest that the British policy of underestimating Mussolini's political ambitions pushed him towards Hitler as his only ally.

On 7 July 1937, the Marco Polo Bridge Incident led to a prolonged war between Japan and China, and this day is considered to be the date of the outbreak of World War II in the Pacific Basin.

The imperialist policies of Italian dictator Mussolini resulted in the Italian invasion of the Kingdom of Albania on 7 April 1939 and its annexation. On 23 August, the Treaty of Non-Aggression between Germany and the USSR was signed by foreign ministers Joachim von Ribbentrop and Vyacheslav Molotov in Moscow. The official document of neutrality between Nazi Germany and the Soviet Union actually was an agreement on secretly sharing Eastern Europe with each other into their areas of influence.

On 1 September 1939, Germany invaded Poland and thus, started World War II on the territory of Europe. In two days, Britain and France responded by declaring war on the aggressor. This is the beginning of an eight-month period at the start of WWII, from 3 September 1939 to 10 May 1940, when seemingly nothing happened apart from the one and only limited military land operation by French troops in Germany's Saar district. These months of the declared war with almost no fighting became known as the 'Phoney War', after US Senator William Borah

who, commenting about the inactivity on the Western Front, said: "There is something phoney about this war". These months were also referred to as the 'Twilight War' by British PM Winston Churchill and as the *Sitzkrieg* ("the sitting war" as a wordplay on German *blitzkrieg*, coined by the British press).

On 10 July 1940, the first major military campaign of the WWII started, during which the Royal Air Force defended the United Kingdom against large-scale attacks by the Luftwaffe. Back then little was known by Nazi Germany that the Battle of Britain would mark the first defeat of Hitler's military forces. This name was coined after Winston Churchill's prophetic phrase from a famous speech he gave in the House of Commons on 18 June 1940: "...the Battle of France is over. The Battle of Britain is about to begin". Four days later France surrendered to Nazi Germany and Hitler who controlled most of Europe, turned his attention to Britain, the only stronghold on his way towards the global ambitions worldwide. Since Britain appeared to remain the only country capable of successfully fighting and eventually defeating Nazi Germany, this made the Battle of Britain a crucial and decisive phase of entire WWII.

The Battle of Britain spanned a changing geographic area, and from the very beginning of the Battle, there were different opinions about its launch date. The official date–10 July 1940–was chosen by Air Marshall Hugh Dowding as the day of increased attacks. As the phases of the Battle developed unevenly, there could not be unequivocal opinion regarding dating. The Royal Air Force Museum website names five phases with the following dates:

**26 June–16 July**: Storangriffe (German: 'nuisance raids')

**17 July–12 August**: Kanalkampf (German: 'Channel fight' or 'the English Channel battles')


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

**13 August–6 September**: Adlerangriff (German: 'Eagle Attack' also known as 'Operation Adler' or 'Operation Eagle Attack')

**7 September–2 October**: the start of a 76-day Blitzkrieg (German: 'lightning war' also known as *The Blitz*). On 15 September 1940, the RAF destroyed a huge formation of Luftwaffe over London and the South, forcing Hitler to postpone the Operation Sealion, which aimed to quickly invade Britain. However, small-scale daylight fighter-bombers kept attacking while large-scale night attacks continued, mainly against London. This was the start of the Blitz on the capital and against other English cities and towns, which lasted until May 1941.

**3 October–31 October**: Air battle between the Royal Air Force (RAF) and the Luftwaffe (Nazi Germany's air force).

The Battle of Britain and the Blitz commemorate the most bloodshed and brutal fight against the freedom and independence of England in her entire history. The pilots of the RAF who became known as "The Few", made a vow not to let a single enemy soldier set foot on English soil, and they bravely kept the word.

Britain was the first to defeat Hitler's army in WWII and thus, paved the way for the rest of the world to the final victory. Symbolically, almost 14 years since the invasion of Manchuria, Japan was to sign the capitulation on 2 September 1945, finalising World War II.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაჩი დე გრაფი
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის
მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის სტუდენტი,
(თემის ხელმძღვანელი – პროფ. დავით მიროტაძე)

# ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომში

საკვანძო სიტყვები: მეორე მსოფლიო ომი, ბრიტანეთის ბრძოლა, სამეფო საჰარეო ძალები, ლუფტვაფე, ბლიცკრიგი, ბრიტანეთის სამეფო ოჯახი

## 1. ომი ისტორიულ რაკურსში

ისტორია ნებისმიერი პროფესიის ადამიანს უნდა აინტერესებდეს და ძირითადი, განსაკუთრებით საინტერესო ამბები მაინც იცოდეს. ამ მოსაზრებამდე თავად მივა, ილია ჭავჭავაძე დაეხმარება თუ რონალდ რეიგანი, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

1888 წელს გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილში „დავით აღმაშენებელი“[6] წმინდა ილია მართალი წერს: „არ ვიცით, სხვა როგორა ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.[6]

1989 წლის 11 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა, მე-40 პრეზიდენ-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ტმა – რონალდ რეიგანმა ამერიკელი ხალხისადმი თავის გამოსათხოვარ მიმართვაში განაცხადა: „თუკი დავივიწყებთ რა გაგვიკეთებია, მაშინ არ გვეცოდინება ვინ ვართ. გაფრთხილებთ, ამერიკული მეხსიერების განადგურებას, საბოლოო ჯამში, შეუძლია მიგვიყვანოს ამერიკული სულის გაქრობამდე“.[34]

პირადად მე ისტორია იმიტომ მაინტერესებს, რომ „ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომება“,[5] მსოფლიო ისტორია კი ჩემი „ფესვებია“. ამასთან ერთად, ძალიან სახალისოა წარსულის შესწავლა. სამომავლოდ, სასარგებლოც იქნება. დაბოლოს, ჩემს ოჯახში ისტორიის სიყვარული და ცოდნა ტრადიციაა, რომელიც ბუნებრივად გადმომეცა.

მეორე მსოფლიო ომი 60 წლის დამთავრებული იყო, როცა დავიბადე. ჩემი ბებია-ბაბუებიც ომის შემდგომ თაობას ეკუთვნიან. მე და ჩემმა თანატოლებმა მხოლოდ წიგნებიდან, ფილმებიდან, მუზეუმებიდან და უფროსების მონაყოლიდან ვიცით მეორე მსოფლიო ომის შესახებ. მრავალი მიზეზის გამო მაინტერესებს ეს „ძველი“ ამბავი XXI საუკუნეში. მხოლოდ რამდენიმე უმთავრესს დავასახელებ.

ამ ბრძოლას მსოფლიო ომი პროპაგანდისტული მიზნების გამო არ დაარქვეს. ეს ყველაზე მასშტაბური ომი იყო კაცობრიობის ისტორიაში. მასში ჩართული აღმოჩნდა XX საუკუნის წამყვანი ქვეყნები: ერთ მხარეს – ფაშისტური გერმანია, იტალიის სამეფო და იაპონიის იმპერია, მეორე მხარეს – ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი, კანადა, აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინდოეთი და ჩინეთი. ძირითადი ბრძოლები მიმდინარეობდა სამ კონტინენტზე: ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. ასევე, საომარი შეტაკებები გაიმართა წყნარი ოკეანის აუზშიც, ალასკაზე, გრენლანდიაზე, ანტარქტიდაზე, ტიბეტში, ერაყში, ირანში, ეთიოპიაში, სომალისა და სურინამში.

ბედის ირონიაა, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლი არანაირად არ შეეხო და ბოლომდე შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი, ავღანე-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

თია – ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილი დღევანდელ მსოფლიო რუკაზე.

საერთო ჯამში, მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობა მიიღო 61-მა სახელმწიფომ, რაც მაშინდელი მსოფლიო მოსახლეობის 80%-ზე მეტი იყო. სამხედრო მოქმედებებმა მოიცვა 40 ქვეყნის ტერიტორია. შედეგად 60 მილიონი ადამიანი დაიღუპა, აქედან 40 მილიონამდე არა სამხედრო, არამედ უბრალო მოქალაქე იყო. ზოგიერთი მონაცემით, დაღუპულთა რიცხვი 80 მილიონს აღწევს.

ესპანეთში ფრანკოს დიქტატურა ოფიციალურად ნეიტრალიტეტს ქადაგებდა. თუმცა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მოხალისეებს ხელს უწყობდა, ესპანეთის მთავრობა კატეგორიულად მოითხოვდა საკუთარი მებრძოლებისგან, რომ მოკავშირეების წინააღმდეგ არ ებრძოლათ.

თურქეთმა მოახერხა დისტანციის შენარჩუნება ორივე ბანაკთან, თუმცა მის ჩათრევას გერმანიაც ცდილობდა და ინგლისიც. თურქეთის დედაქალაქ ანკარაში დიპლომატიურ თამაშებს აწარმოებდა გერმანიის ყოფილი კანცლერი და ვიცე-კანცლერი, იმ დროს თურქეთში გერმანიის ელჩი – ფრანც ფონ პაპენი. პირადად უინსტონ ჩერჩილი ფარულად შეხვდა თურქეთის მაშინდელ პრეზიდენტს – ისმეთ ინონუს ქალაქ ადანასთან მატარებლის ვაგონში. 1943 წლის 4-6 დეკემბერს ინონუ დაესწრო კაიროს მეორე კონფერენციას, სადაც შეხვდა ფრანკლინ დელანო რუზველტსა და ჩერჩილს. თავიდან თურქეთს რაიხის გამარჯვების სჯეროდა და მისი პოლიტიკური სიმპათიაც გერმანიის მხარეს გადაიხარა. იმ პერიოდში, 1940 წლის 28 ივნისს, ფრანც ფონ პაპენმა საგარეო საქმეთა მინისტრ იოახიმ ფონ რიბენტროპს უპატაკა, რომ „თამაში მოგებულია“. საბოლოოდ, 1945 წლის თებერვალში, თურქეთი შეუერთდა აშკარად გამარჯვებისკენ მიმავალ მხარეს – მოკავშირეებს და დაუპირისპირდა გერმანიასა და იაპონიას. თუმცა, არცერთ თურქს არ მიუღია მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომის არცერთ ბრძოლაში.

ირლანდიაც ბოლომდე ნეიტრალური დარჩა იმის მიუხედავად, რომ რამდენჯერმე შეცდომით დაბომბა ლუფ-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ტვაფემ – ინგლისელებში აერია და ირლანდიის რესპუბ-ლიკის ფლოტზე რამდენიმე შეტევა განახორციელეს რო-გორც აქსისმა, ისე მოკავშირეებმა. ეს პოლიტიკური პო-ზიცია „ემერჯენსის მდგომარეობის“ (საგანგებო მდგომა-რეობის) სახელითაა ცნობილი. ის 1939 წლის 2 სექტემ-ბერს გამოაცხადა დოილ ერენმა – ირლანდიის პარლა-მენტის ქვედა პალატამ. ირლანდიის ნეიტრალიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, ბრიტანეთის მხრიდან ირლანდიის რესპუბლიკაზე თავდასხმის შიში.

ბუნდოვნად, მაგრამ ნაწილობრივ მახსოვს 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთ-საქართველოს შორის. პირვე-ლი რეალური ომი, რომელიც ძალიან ახლოდან დავინახე და მივხვდი, ეს იყო ბოროტება და არ იყო – კომპიუტე-რული თამაში, სადაც მეორე და მესამე სიცოცხლის შან-სი გეძლევა. სწორედ იმ პერიოდში ვისწავლე საბრძოლო იარაღის გასროლის ხმის გარჩევა ფეიერვერკისაგან.

თანამედროვე სამყაროში არსებული დაძაბული პო-ლიტიკური სიტუაციის გამო, ექსპერტებისა და ხალხის ნაწილი მესამე მსოფლიო ომის[55] საფრთხეზე პერიოდუ-ლად საუბრობს. შეიარაღებული კონფლიქტების რეალო-ბაში მცხოვრებ ქვეყანათა სია იმდენად გრძელია, რომ მხოლოდ რამდენიმე უმთავრესის დასახელებაც ნათლად წარმოაჩენს თანამედროვე საზოგადოების პრობლემას: ავ-ღანეთი, ერაყი, სირია, ლიბია, იემენი, სომალი, ქურთების ბრძოლა თურქეთის სასაზღვრო ზოლში, ისრაელ-პალეს-ტინის, ინდოეთ-პაკისტანის, პაკისტან-ირანის, ირან-ამერი-კის კონფლიქტები და მისთ. ასეთ რეალობაში, წინაპრე-ბის შეცდომების გააზრება და სათანადოდ გათვალისწი-ნებაა საჭირო. ამიტომაც აქტუალურია ისტორიული გა-მოცდილების შესწავლა. რადგან მეორე მსოფლიო ომი მასშტაბური თემაა, ამ სტატიაში განვიხილავ მხოლოდ ბრიტანეთის ბრძოლასა და ბლიცკრიგს, რაც მეორე მსოფლიო ომის გამორჩეული ეტაპებია.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

## 2. მეჯდომარე ომი

ჯერ კიდევ სადავოდ რჩება მეორე მსოფლიო ომის დაწყების ზუსტი თარიღი. ვფიქრობ, საკამათო აქ არაფერია. ასეთი მასშტაბური ომი ერთ დღეში და ერთ წერტილში ვერ დაიწყებოდა. მისი ეტაპობრივი განვითარების გამო გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღი.

მეორე მსოფლიო ომის მთავარი გამომწვევი მიზეზია აქსისის (ღერძის) ქვეყნების მიერ წარმოებული დაპყრობითი ომები მსოფლიო კონტროლის მოსაპოვებლად. შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ეკუთვნის იაპონიას, რომელმაც 1931 წლის 18 სექტემბერს მანჯურია დაიპყრო.

შემდეგ იყო ფაშისტური იტალიის მიერ ეთიოპიის ანექსია, რაც 1935 წლის 3 ოქტომბრიდან 1936 წლის მაისამდე გაგრძელდა. სწორედ ამ „გამარჯვებამ“ შეუწყო ხელი ბენიტო მუსოლინის პოლიტიკურ წინსვლას. ბრიტანეთმა დუჩეს დაიგნორების პოლიტიკა აირჩია, გაერიდა მის დაპყრობით ამბიციებს და, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, მუსოლინის მხოლოდ ჰიტლერისკენ მიმავალი გზა დაუტოვა.

1936 წლის 25 ოქტომბერს ნაცისტურ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, ხოლო 1 ნოემბერს ოფიციალურად გამოცხადდა რომაულ-ბერლინური აქსისი. ამ გაერთიანების ორი მთავარი მიზანი იყო:

1. ტერიტორიული ექსპანსია და იმპერიების შექმნა სამხედრო ძალაუფლების საშუალებით, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო პოლიტიკური წყობის დამხობისათვის;
2. საბჭოთა კომუნიზმის განადგურება ან ნეიტრალიზაცია.

1936 წლის 25 ნოემბერს გერმანიასა და იაპონიის იმპერიას შორის ხელი მოეწერა ე.წ. ანტიკომინტერნულ პაქტს, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 6 ნოემბერს ამ ორს იტალიაც შეუერთდა.



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

1937 წლის 7 ივლისს იაპონია ჩინეთში შეიჭრა და სწორედ მარკო პოლოს ხიდზე მომხდარი ინციდენტიდან ითვლიან წყნარი ოკეანის აუზში მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღს. 1939 წლის 7-15 აპრილს იტალიამ ალბანეთი დაიპყრო და მისი ანექსია მოახდინა. 23 აგვისტოს ფაშისტურმა გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა არააგრესიული ურთიერთობის შეთანხმებას მოაწერა ხელი და ფარულად გადაინაწილა აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორია გავლენის სფეროებად.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიამ პოლონეთის ანექსია მოახდინა და სწორედ ესაა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღი. ორი დღის შემდეგ, 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადა აგრესორს. გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთს შორის დაიწყო „უცნაური ომი“ (ინგლ. Phoney War, „ყალბი ომი“),[36] როგორც მას ამერიკელმა სენატორმა რესპუბლიკური პარტიიდან – უილიამ ბორამ უწოდა. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა ამავე უმოქმედობის პერიოდს „ბინდის ომი“ (ინგლ. Twilight War)[49] შეარქვა, ხოლო ბრიტანული პრესა ამ რვა თვეს ზიცკრიგად (გერმ. Sitzkrieg, „მჯდომარე ომი“ < სიტყვათა თამაში გერმ. Blitzkrieg-ის ანალოგიით) მოიხსენიებდა. ეს გამოცხადებული ომი საბრძოლო მოქმედებების გარეშე (თუ არ ჩავთვლით საფრანგეთის მიერ გერმანული რეგიონის, ზაარლანდის ანექსიას) 1939 წლის 3 სექტემბრიდან 1940 წლის 10 მაისამდე გაგრძელდა.

1939 წლის 17 სექტემბერს პოლონეთში საბჭოთა ჯარები აღმოსავლეთიდან შევიდნენ. 27 სექტემბერს ვარშავამ კაპიტულაცია გამოაცხადა, პოლონეთის მთავრობა რუმინეთის გავლით სამშობლოდან გაიქცა. 29 სექტემბერს ფაშისტურმა გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა პოლონეთი მშვიდად გაიყო.

იმავე წლის 30 ნოემბერს წითელი არმია ფინეთში შევიდა და ე.წ. ზამთრის ომი დაიწყო, რომელიც 1940

წლის 12 მარტს ზავითა და ფინელებისთვის მიწების წართმევით დასრულდა.

1940 წლის 9 აპრილს გერმანია დანიასა და ნორვეგიაში შეიჭრა. დანია იმავე დღეს დანებდა მტერს, ხოლო ნორვეგიამ 9 ივნისამდე იბრძოლა. ამის პარალელურად, გერმანიამ დასავლეთ ევროპას შეუტია: 10 მაისს ლუქსემბურგში შეიჭრა, 14 მაისს – ნიდერლანდებში, 28 მაისს – ბელგიაში, ხოლო 22 ივნისს საფრანგეთი უომრად ჩაბარდა მტერს. საფრანგეთ-გერმანიის ზავის პირობებით, ქვეყნის ჩრდილოეთ ნახევარი და ატლანტის ოკეანის მთელი სანაპირო გერმანიის ხელში გადავიდა. სამხრეთ საფრანგეთის დედაქალაქი გახდა საკურორტო ქალაქი ვიში. 21 ივნისს უკვე იტალია შეიჭრა სამხრეთ საფრანგეთში.

14-18 ივნისს საბჭოთა კავშირმა ბალტიის ქვეყნებში კომუნისტური გადატრიალება განახორციელა და მათი ოკუპაციის შემდეგ, 3-6 აგვისტოს ისინი საბჭოთა რესპუბლიკებად გამოაცხადა. ამის პარალელურად, საბჭოთა კავშირმა 28 ივნისს რუმინეთი აიძულა, ბესარაბიის აღმოსავლეთ ნაწილი და ბუკოვიის ჩრდილოეთ ნახევარი მისთვის დაეთმო.

## 3. ბრიტანეთის ბრძოლა

ბრიტანეთის ბრძოლა[43] ცვალებად გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა და თარიღთან დაკავშირებით მაშინვე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. ოფიციალური თარიღი – 1940 წლის 10 ივლისი მარშალმა დაუდინგმა შეარჩია, როგორც გაზრდილი შეტევების დაწყების დღე. ბრძოლის ფაზები ერთმანეთში არეულად განვითარდა. შესაბამისად, დათარიღებასთან დაკავშირებით ცალსახა აზრი არ არსებობს. სამეფო საჰაერო ძალების მუზეუმის ოფიციალური მონაცემებით,[26] ბრიტანეთის ბრძოლის ხუთი ფაზა სახელდება:

- **26 ივნისი – 16 ივლისი**: დაიწყო შტორანგრიფე (გერმ. „აბეზარი რეიდები“) ანუ საცდელი, მცირე-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

მასშტაბიანი რეიდები დღისითა და ღამით; 4 ივლისიდან – კანალკამპფი (გერმნ. „ინგლისის არხის ბრძოლები“) ანუ ფლოტის წინააღმდეგ წარმოებული რეიდები დღისით.

- **17 ივლისი – 12 აგვისტო**: ინტენსიური გახდა კანალკამპფი, გაძლიერდა პორტებისა და სანაპირო აეროდრომების დაბომბვა დღისით, ხოლო ღამით – ბრიტანეთის სამეფო ავიაციასა და თვითმფრინავების ქარხნებზე თავდასხმები.
- **13 აგვისტო – 6 სექტემბერი**: დაიწყო ადლერანგრიფი (გერმ. „არწივის შეტევა“)[20] ანუ სამხრეთ ინგლისში სამეფო ავიაციის განადგურების ყოველდღიური ინტენსიური ეტაპი, რომელსაც 19 აგვისტოდან დაემატა ღამის მძიმე რეიდები პორტებისა და ინდუსტრიული ქალაქების, მათ შორის, ლონდონის გარეუბნების განადგურების მიზნით.
- **7 სექტემბერი – 2 ოქტომბერი**: 76-დღიანი ბლიცკრიგის (გერმ. „ელვისებური ომი“) დასა-წყისი, რომლის უმთავრესი მიზანი ლონდონსა და ინგლისის სხვა ქალაქებზე დღისითა და ღამით მუდმივი თავდასხმა იყო. 1941 წლის მაისამდე უწყვეტად განხორციელებული საჰაერო რეიდები ისტორიაში „ბლიცის“[48] სახელით შევიდა.
- **3 ოქტომბერი – 31 ოქტომბერი**: ღამის ხანგრძლივი რეიდები, უმთავრესად, ლონდონის დასაბომბად.[50] დღისით წარმოებული საჰაერო ორთაბრძოლები სამეფო საჰაერო ძალებსა და ლუფტვაფეს შორის.

ბრიტანელი ისტორიკოსების ნაწილი ბლიცს მიიჩნევს ბრიტანეთის ბრძოლის[51] მეორე ეტაპად. შესაბამისად, სამეფო ავიაციასა და ლუფტვაფეს შორის შეტაკებათა პირველი ნაწილი 1940 წლის 10 ივლისიდან 31 ოქტომბრამდე გაგრძელდა, ხოლო ბლიცი 1940 წლის 7 სექტემბრიდან 1941 წლის 21 მაისამდე. ორ ეტაპად თუ მთლია-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ნობაში, ეს იყო ყველაზე სისხლისმღვრელი და სასტიკი ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და გადარჩენისათვის ინგლისის ისტორიაში.[56]

ინგლისსა და გერმანიას შორის 1940 წლის 10 ივლისს დაწყებულ საჰაერო ომს „ბრიტანეთის ბრძოლა“[11] ეწოდა უინსტონ ჩერჩილის თემთა პალატაში 18 ივნისს წარმოთქმული სიტყვის მიხედვით. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კომენტარი გააკეთა ფაშისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციასთან დაკავშირებით: „საფრანგეთის ბრძოლა დასრულდა. მალე ბრიტანეთის ბრძოლა იწყება“.[11] მას მერე, რაც ჰიტლერის გერმანიამ ევროპის უმეტესი ნაწილი ხელში ჩაიგდო, ინგლისი დარჩა ის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეეძლო ფაშიზმის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა. ამიტომაც იყო ბრიტანეთის ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ეტაპი.

გერმანიას დიდი ბრიტანეთის დაპყრობა სურდა. პირველ რიგში სამეფო ავიაცია უნდა გაენადგურებინა, რომ ინგლისელ პილოტებს არ ჩაეძირათ გერმანული სამხედრო გემები, როდესაც ბრიტანეთის დაპყრობის ოპერაცია „ზღვის ლომი“[31] დაიწყებოდა. გერმანია სამხრეთ სანაპიროს გამუდმებული დაბომბვით ცდილობდა ინგლისის საჰაერო ძალების განადგურებას. თუმცა ძლიერ მოწინააღმდეგეს გადააწყდა.[9] იმდენად გაუჭირდათ ფაშისტებს, რომ მთელი ენერგია მხოლოდ აეროპორტებში საფრენი ბილიკებისა და საავიაციო რადარების დაბომბვაზე გადართეს, ხოლო პატარა ქალაქებს დროებით შეეშვნენ.[47] თვეები გავიდა, მაგრამ დაგეგმილი გამარჯვება არ ჩანდა. ჰიტლერმა მოთმინება დაკარგა.[27]

1940 წლის 15 სექტემბერს სამეფო საჰაერო ძალებმა გაანადგურეს ლუფტვაფეს დივიზია ლონდონისა და ინგლისის სამხრეთი პროვინციების თავზე, რამაც ჰიტლერი აიძულა ბრიტანეთის სწრაფად დაპყრობის იდეა დაევიწყებინა. ინგლისში შეჭრის ოპერაცია „ზღვის ლომი“[31] უვადოდ გადაიდო. ინგლისელების ამ დიდი გამარჯვების მიუხედავად, ბრძოლას დასასრული მაინც არ უჩანდა. მა-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ლე გერმანიამ ტაქტიკა შეცვალა: ლუფტვაფემ დიდი ქალაქების, განსაკუთრებით ინტენსიურად კი, ლონდონის[50] დაბომბვა დაიწყო.

## 4. ბლიცკრიგი

პირველი ხანმოკლე რეიდი ლონდონის თავზე 1940 წლის 5 სექტემბერს განახორციელა გერმანიის სამხედრო ავიაციამ ჰერმან გერინგის მეთაურობით. 7 სექტემბრის ნაშუადღევს 4:56 საათზე მთელი ძალებით დაიწყო ბრიტანეთის დედაქალაქის დაბომბვა.[10] 1000-მდე გერმანულმა თვითმფრინავმა (350-ზე მეტმა ბომბდამშენმა და 600-მა მოიერიშემ) ლა-მანშს გადაუფრინა და ინგლისის ცა დაფარა. ბრიტანეთში საომარი განგაშის უმაღლესი დონე გამოცხადდა, სამხედრო დანაყოფებს კოდური სიტყვა „კრომველი“ დაეგზავნათ, ხოლო ეკლესიის სამრეკლოებზე ზარების რეკვა დაიწყო.

გერმანელმა პილოტებმა არაერთი სამიზნე გაანადგურეს, მაგრამ ნაწილს ააცილეს და ბომბები ახლომდებარე საცხოვრებელ ტერიტორიაზე ჩამოაგდეს. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონში 430 ადამიანი დაიღუპა და 1600 მძიმედ დაშავდა. დედაქალაქს ხანძარი მოედო, რამაც, თითქოს, საგანგებოდ მტრისთვის გაანათა ლონდონი და დაბომბვების ახალ ტალღას შეუწყო ხელი. შიშის ნაცვლად, ლონდონელები სასტიკად აღშფოთდნენ ამ ფაქტით. მომხდართან დაკავშირებით ჩერჩილმა განაცხადა: „მისი (ჰიტლერის, დ.დ.) დანთებული ცეცხლი მანამ არ ჩაქრება, სანამ ნაცისტური ტირანიის უკანასკნელი კვალი არ ჩაიფერფლება ევროპაში“.[11]

გერმანელებს გამარჯვების მოპოვების დიდი იმედი ჰქონდათ ინგლისის დედაქალაქის მასშტაბური დაბომბვით, მაგრამ უშიშარი ბრიტანელი პილოტები[7] ცაში აიჭრნენ და ბევრი გერმანული თვითმფრინავი ჩამოაგდეს. „ბებერი ინგლისის მიწაზე ვერცერთი მტრის ჯარისკაცი



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ვერ დაადგამს ფეხს“,[9] – ამ რწმენით იბრძოდა ყოველი მათგანი.

იმ დამით არავინ იცოდა, რომ ეს იყო 76-დღიანი ინტენსიური საჰაერო თავდასხმების – ბლიცის[58] დასაწყისი. ბლიცი გერმანული სიტყვის Blitzkrieg-ის შემოკლებაა და „ელვისებურ ომს“ ანუ „ელვისებური სისწრაფით მიმდინარე ომს“ ნიშნავს.[14]

ლონდონის გარდა, ბრიტანეთის სხვა დიდი ქალაქებიც (მანჩესტერი, ბირმინგემი, კოვენტრი, ლივერპული, სუონზი, კარდიფი, ბრისტოლი, საუთჰემპტონი, პლიმუთი) ინტენსიურად იბომბებოდა ღამღამობით. ყოველდღიური რეიდები 1941 წლის მაისამდე გაგრძელდა. უშუალოდ ლონდონს დღე და ღამე ბომბავდნენ 11 კვირის განმავლობაში და მხოლოდ ერთი ღამე გამოტოვეს გერმანელებმა ცუდი ამინდის გამო. ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა ლონდონის გადაბმულად დაბომბვა 57 ღამის განმვალობაში. ბრიტანეთის დედაქალაქის ერთი მესამედი მიწასთან გაასწორა ბლიცმა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი საჰაერო რეიდი 1940 წლის 14-15 ნოემბრის ღამეს ქალაქ კოვენტრიზე[44] განახორციელა ლუფტვაფემ. თავდასხმის შედეგად 4330 სახლი დაინგრა და 568 ადამიანი დაიღუპა. ხანძრის 200 დამოუკიდებელი კერა გაჩნდა, რის გამოც ქალაქის ცენტრი, თითქმის, მთლიანად განადგურდა. კოვენტრიში ღია ცის ქვეშ მუზეუმის სახით დღესაც დგას გერმანელთა თავდასხმის შედეგად დანგრეული, უგუმბათოდ დარჩენილი წმინდა მიხეილის სახელობის საკათედრო ტაძარი. მოქალაქეებმა XIV საუკუნის ძეგლის ნაშთი გაწმინდეს და ნანგრევების სახით შემოუნახეს შთამომავლობას, მის გვერდით კი ახალი ტაძარი ააგეს. კოვენტრის ძველი ტაძარი მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მსგავსი შეგრძნება ექნებოდა ბაგრატის ტაძრის მნახველს მის აღდგენამდე.

ბლიცის გამო კოვენტრის ისტორიული შენობების უმეტესობა სრულიად განადგურდა.[45] შედეგი იმდენად შოკისმომგვრელი იყო, რომ გერმანულ და ინგლისურ



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ენებში მას შემდეგ გაჩნდა სიტყვა „კოვენტრირება“ (გერმ. Koventrieren, ინგლ. to coventrate), რაც ნიშნავს განადგურებას, მოსპობას, გაცამტვერებას.[16]

ფაშისტების მიერ კოვენტრიში ჩამოგდებული ყველა ბომბი მაშინვე არ აფეთქდა. ისინი მოგვიანებით აღმოაჩინეს სხვადასხვა დროს. ბოლოს 2008 წლის 12 მარტს იპოვეს აუფეთქებელი ბომბი ქალაქის ცენტრში. პოლიციამ 500-მეტრიანი რადიუსით შემოზღუდა პერიმეტრი და გამნადმველებმა 13 მარტის დილისთვის გააუვნებლეს წარსულის გადმონაშთი. უცნაური დამთხვევაა, რომ ამ ნაპოვნი ბომბის გამო გადაიდო 12 მარტს დაგეგმილი წარმოდგენა „ნოემბრის ერთი ღამე“, რომელიც სწორედ ბლიცის შესახებ იყო.

თუმცა გერმანელების რეიდები თანდათანობით შემცირდა, რადგან მათ საჰაერო ბრძოლაში ბრიტანელების დამარცხების ყველანაირი იმედი დაეკარგათ. თანაც, ბომბდამშენების გამოყენებას გერმანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთვის აპირებდა. შედეგად, ბლიცი 1941 წლის 21 მაისს დამთავრდა. მეორე მსოფლიო ომის ის პერიოდი, როდესაც გერმანიამ საბჭოთა კავშირის საზღვარი გადმოლახა 1941 წლის 22 ივნისს, დიდი სამამულო ომის სახელით დამკვიდრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიაში. ვფიქრობ, ეს სახელი არ უნდა დაიკარგოს, რადგან ზუსტად ასახავს, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები. როგორც ბრიტანეთის ბრძოლა, სამამულო ომიც მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელოვანი ეტაპია.

## 5. ომი და ინგლისელები

ომის დროს, განსაკუთრებით, 76-დღიანი ბლიცის პერიოდში ცხოვრება ძალიან ძნელი და სახიფათო იყო დიდ ქალაქებში. ლონდონში ამ მხრივ ყველაზე მძიმე სიტუაცია შეიქმნა უბრალო ადამიანებისთვის, რადგან ინგლისის დედაქალაქი ინტენსიურად იბომბებოდა. ლონდონელებს, უმეტესად, ბომბსაფარში უწევდათ ღამის გათევა.



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

არც მეგაპოლისებთან ახლოს მყოფ დასახლებებში ეძინათ მშვიდად, რადგან გერმანელებს ღამის სიბნელეში ხშირად ეშლებოდათ კურსი და სამიზნის ნაცვლად, მასთან ახლოს მდებარე შენობებსა და დასახლებებში ყრიდნენ ბომბებს შეცდომით. ზოგჯერ კი, რეიდიდან დაბრუნებული ლუფტვაფეს პილოტები დარჩენილ, გამოუყენებელ ბომბებს უბრალოდ ძირს ყრიდნენ, რომ შინ უფრო სწრაფად და მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ. ძალიან ბევრი ასეთი გაუთვალისწინებელი ბომბი ჩამოვარდა დიდი ქალაქების მახლობლად, განსაკუთრებით კენტის საგრაფოს აგრარულ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობდა ლონდონისკენ საფრენ მარშრუტზე. ამ საჰაერო ტრასას „ბომბის ხეივანს“ უწოდებდნენ.

ქალაქების დასაცავად, ხელისუფლებამ აეროსტატები გაუშვა ცაში, რითიც გერმანელ პილოტებს სასურველზე მაღლა ფრენას აიძულებდა. შედეგად, მათი დაბომბვა გაცილებით არაზუსტი გამოდიოდა. ეს აეროსტატები ფოლადის კაბელებით იყო გადაბმული და ნებისმიერი თვითმფრინავი, რომელიც მათ შეეჯახებოდა, ილეწებოდა.

ხალხისთვის ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება, რაც ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო, მცირეწლოვანი ბავშვების დიდი ქალაქებიდან სოფლად, უცხო ოჯახებში გაგზავნა იყო მათი უსაფრთხოებისთვის. ევაკუაცია სამ ეტაპად განხორციელდა 1939-1945 წლებში და ოპერაცია „ჭრელტანსაცმლიანი მესტვირე“ ეწოდა, ცნობილი გერმანული ზღაპრის „ჰამელინელი მესტვირის“ მოტივებზე 1933 წელს გადაღებული ამერიკული ანიმაციური ფილმის სახელწოდების მიხედვით.

თემთა პალატის წარმომადგენელმა, სერ ჯონ ანდერსონმა მეორე მსოფლიო ომის დროს გაერთიანებული სამეფო სამ ზონად დაყო:

- **საევაკუაციო** – ძლიერი დაბომბვის რისკის ქვეშ მყოფი უბნები;
- **ნეიტრალური** – უბნები, სადაც ევაკუირებულთა გაგზავნა ანდა მიღება არ იყო საჭირო;



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

- **მიმღები** – სასოფლო ტერიტორიები, სადაც გაიგზავნებოდნენ ევაკუირებულები.

პირველი ევაკუაცია 1939 წლის 1 სექტემბერს დაიწყო, გერმანიისთვის ომის გამოცხადებამდე ორი დღით ადრე. 1940 წლის იანვრისთვის ევაკუირებულთა, თითქმის, 60% შინ დაბრუნდა.

მას მერე, რაც ფაშისტურმა გერმანიამ საფრანგეთის უდიდესი ნაწილის ანექსია მოახდინა, ინგლისში მეორე ევაკუაცია გამოცხადდა. 100 ათასამდე ბავშვი, უმეტესობა ხელმეორედ, გაიგზავნა უსაფრთხო ადგილებში 1940 წლის 13-18 ივნისის პერიოდში. როდესაც 7 სექტემბერს ბლიცი დაიწყო, სასწრაფოდ განხორციელდა დარჩენილი ბავშვების გახიზნვა. 1941 წლის ბოლოსთვის ქალაქის ცენტრალური ნაწილები, განსაკუთრებით, ლონდონში, საცხოვრებლად უსაფრთხო გახდა. ეს პერიოდი ლონდონელმა ბავშვებმა, ძირითადად, ბომბსაფარში გაატარეს.

1944 წლის ივნისიდან 1945 წლის მაისამდე გერმანიამ კვლავ ცეცხლი გაუხსნა[42] ინგლისს: ჯერ V-1 ტიპის რაკეტებით შეუტია ბრიტანეთს, მოგვიანებით კი V-2 ტიპის რაკეტებით. ამ მფრინავ ბომბებს ინგლისელები „ფაროსანას“ (doodlebugs)[37] ეძახდნენ მავნებელი მწერის ასოციაციით. მათი გაშვება ოკუპირებული საფრანგეთის სამხრეთში დამალული წერტილებიდან ხდებოდა. მთავრობამ სასწრაფოდ გახიზნა ლონდონიდან 1 მლნ ქალი, ბავშვი, მოხუცებული და ინვალიდი.

მეორე მსოფლიო ომი 1945 წლის 2 სექტემბერს დამთავრდა, მაგრამ ევაკუაცია ოფიციალურად 1946 წლის მარტამდე არ დასრულებულა – მაშინ, როდესაც მთავრობა დარწმუნდა, რომ ბრიტანეთს აღარ ემუქრებოდა თავდასხმა. საინტერესოა, რომ ომის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგაც კი 5 ათას 200 ევაკუირებული ცხოვრობდა სოფლად, მასპინძელთა ოჯახებში. თუმცა გახიზნულთა უმეტესობა 1946 წლის მარტზე გაცილებით ადრე დაბრუნდა შინ, რადგან უკვე 1945 წლის აპრილში დაიწყო მთავრობამ მათი მგზავრობის ორგანიზება. 12 ივლისის-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

თვის 100-ზე მეტი მატარებლით 54317 ევაკუირებული ლონდონში დაბრუნდა. ეს პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა.

ჩაბნელების პოლიტიკაც 1939 წლის 1 სექტემბერს დაიწყო ბრიტანეთის მთავრობამ, როგორც ბავშვების ევაკუაცია. ჩაბნელება გულისხმობდა შემდეგი წესების დაცვას ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით: მზის ჩასვლამდე ყველა მოქალაქეს უნდა დაეგმანა ფანჯრები და კარები მთელი ღამის განმავლობაში მუქი ფარდებით, კარდონით ან საღებავით. სინათლის ერთი სხივიც არ უნდა გამოსულიყო შენობებიდან. ეს აუცილებელი იყო გერმანელთა რეიდების გამო. ქალაქში ქუჩის განათება აღარ ირთვებოდა ღამით; ზოგჯერ დაბინდულად ანდა შუქფარით ენთო. შუქნიშნებიცა და ავტომობილთა ფარებიც მიწისკენ იყო მიმართული, რომ მკვეთრი ნათება მაქსიმალურად შეენიღბათ.

ერთი მხრივ, ომის პერიოდში ჩაბნელებას სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. მეორე მხრივ, ათასობით ადამიანი დაიღუპა ავარიებში. უბედური შემთხვევების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა ჩაბნელებული ქუჩებისა და დაბინდული განათების გამო. ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, თეთრი ზოლები გაავლეს გზებსა და გარე განათების ბოძებზე. ხალხს შესთავაზეს, რომ მომავალი მანქანების მიმართულებით ევლოთ. კაცებს ურჩიეს, პერანგის ბოლო არ ჩაეტანათ და გადმოწეული ეტარებინათ, რადგან თეთრ ფერს უკეთ გაარჩევდნენ მძღოლები. ადამიანების ნაწილი ჩაბნელების გამო იმიტომ დაშავდა, რომ რაღაცას ფეხი წამოჰკრა სიბნელეში, ან კიბეზე დაგორდა, ან რამეს შეეჯახა.

ომის დროს ასევე დიდი პრობლემა იყო რაციონი, რაც ყველაფერზე დაწესდა: საჭმელზე, ტანსაცმელზე, ბენზინსა თუ ავეჯზე. დაბომბვაში მაღაზიებიც მოყვნენ, რამაც გამოიწვია დეფიციტი. გერმანელები ბრიტანეთში პროდუქტის შეტანასაც უშლიდნენ ხელს და სავაჭრო გემებს ძირავდნენ თავიანთი წყალქვეშა ნავებით. ომის დაწყებამდე ბრიტანეთს 55 მლნ ტონა საკვები შეჰქონდა



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ქვეყანაში. ომის დაწყებიდან ერთ თვეში ეს რიცხვი 12 მლნ-მდე შემცირდა.

1939 წლის 29 სექტემბერს ჩატარდა ეროვნული რეგისტრაციის დღე და სახლის ყველა მეპატრონემ შეავსო სპეციალური ფორმა, რომელშიც ჩამოწერა მის სახლში მცხოვრები ადამიანები და თითოეულის შესახებ საჭირო ცნობები მიაწოდა ხელისუფლებას. ამ მონაცემთა საფუძველზე, 1940 წლის დასაწყისში ინგლისში შემოიღეს პირადობის მოწმობა და რაციონის წიგნაკი, რომელიც კუპონებისგან შედგებოდა. ყოველი ოჯახი ან ინდივიდი დარეგისტრირდა ადგილობრივ მიმწოდებელთან, რომელთანაც მომავალში შეიძენდა მისთვის განკუთვნილ რაციონს. ეს დეტალები ხარჯთაღრიცხვის წიგნში ბეჭდით დასტურდებოდა. შესაბამისად, ადამიანს მხოლოდ მისი მიმწოდებლისგან შეეძლო ეყიდა რაციონის წიგნაკში მის სახელზე გამოწერილი პროდუქცია.

ხელისუფლება აკონტროლებდა, რომ ყველა მოქალაქეს მეტ-ნაკლებად თანაბრად შეხვედროდა ქვეყანაში არსებული პროდუქტი და არავინ დაჩაგრულიყო. მთავრობას არ სურდა, რომ დეფიციტის გამო პროდუქტებზე ფასები აწეულიყო და ღარიბებს საკვები თუ სხვა საჭირო ნივთები ვეღარ ეყიდათ. რაციონის წიგნაკები სიტუაციას იმ მხრივაც არეგულირებდა, რომ ერთს არ ეყიდა მთელი მაღაზია და სხვები ულუკმაპუროდ არ დაეტოვებინა.

ნებისმიერი ნივთისა თუ პროდუქტის გაყიდვისას, გამყიდველი შესაბამის კუპონს წიგნაკიდან ხევდა, ან მასზე ხელს აწერდა. ამის მერე, მყიდველი ფულს იხდიდა. ეს წიგნაკი ნივთის ყიდვის უფლებას იძლეოდა და ქვეყანაში არსებული პროდუქციის სამართლიანად გადანაწილებას აკონტროლებდა.

რაციონის წიგნაკები ფერადი იყო. სწორედ ფერი განსაზღვრავდა, რისი ყიდვის უფლება ჰქონდა რაციონის წიგნაკის მფლობელს:

- **კრემისფერი** წიგნაკები ზრდასრულებს ურიგდებოდათ;



BRAMS Journal No. 1
2020 Volume 1, Issue 1
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

- **მწვანე** წიგნაკები ორსულებს, ჩვილთა დედებსა და 5 წლამდე ბავშვებს ეძლეოდათ. მათ დამატებით ხილი, ყოველდღიურად ნახევარი ლიტრი რძე და კვერცხის ორმაგი დოზა ეკუთვნოდათ;
- **ლურჯი** წიგნაკები 5-დან 16 წლამდე ბავშვებს ურიგდებოდათ, მათი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ხილის, ხორცისა და ყოველდღიურად ნახევარი ლიტრი რძის ყიდვის უფლებით.

ზოგიერთი რაციონის წიგნაკის შემოღებას უსამართლოდ თვლიდა. მაგალითად, კვერცხის, კარაქისა და ხორცის სოფლად შეძენა საკმაოდ იოლი იყო უკუპონებოდაც. 1941 წლის ზაფხულიდან ქალაქელი მემწვანილეები საბარგო მანქანებით მიდიოდნენ ქალაქგარეთ და ბოსტნეულს პირდაპირ ფერმერებისგან ყიდულობდნენ.

სახელისუფლებო აკრძალვების მიუხედავად, ინგლისელების უმეტესობა ახერხებდა გაცილებით მეტი საკვების შოვნას, თუკი ჰქონდა სამსახური, ან – სწავლობდა. მაგალითად, დონ ჯოზეფი, რომელიც ომის დროს მუშაობდა და ღამის სკოლაში სწავლობდა, იხსენებს, რომ სამსახურის სასადილოში სადილობდა, ხოლო ორი მოკლე შესვენების დროს ჩაისა და სენდვიჩს მიირთმევდა. კვირაში სამჯერ ის სკოლის ბუფეტში ვახშმობდა.

ორი წლის შემდეგ, 1941 წლის 1 ივნისიდან ტანსაცმელზეც დაწესდა ნორმირება, რომელიც 1949 წლის 15 მარტს დამთავრდა. ამის საჭიროება ქსოვილის დეფიციტმა გამოიწვია. ტანსაცმლისთვის **ვარდისფერი** რაციონის წიგნაკები შემოიღეს. შიგნით 60 ცალი ფერადი კუპონი იყო, რაც ერთი წლის ნორმას შეადგენდა. მოგვიანებით კუპონების რიცხვი 48-მდე შემცირდა. მათი საშუალებით ყველა ადამიანს წელიწადში ერთი ხელი ტანსაცმლის ყიდვა შეეძლო. ბავშვებს 10 კუპონით მეტი ეძლეოდათ დიდებზე, რადგან ისინი იზრდებოდნენ და ტანსაცმელი ჩქარა უპატარავდებოდათ.

საკვების ნორმირება 14 წელი გაგრძელდა ბრიტანეთში და 1954 წლის 4 ივლისის ღამით დამთავრდა, რო-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

დესაც შეზღუდვები მოიხსნა ხორცისა და ლორის ყიდვა-გაყიდვაზე. მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან უკვე 9 წელი გასულიყო.

## 6. ბრიტანეთის სამეფო ოჯახი

ბრიტანეთის ბრძოლაში არა მხოლოდ სამეფო ავიაციამ გაიმარჯვა მარშალ სერ ჰიუ დაუდინგის მეთაურობით, არამედ ინგლისელმა ხალხმა მთლიანობაში. სწორედ ინგლისელების პატრიოტულმა თავგანწირვამ განაპირობა შემდგომში მეორე მსოფლიო ომის ბედი, სხვა ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად.

ხალხის მებრძოლ სულისკვეთებას დიდად შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ ბრიტანეთის სამეფო ოჯახს ერთი დღითაც არ დაუტოვებია ლონდონი და ყველანაირად იზიარებდა ხალხის ბედსა და უბედობას. მეფე და დედოფალი ბაკინგემის სასახლეში დარჩა ომის დასრულებამდე. ქალიშვილები – პრინცესა ელიზაბეთი და პრინცესა მარგარეტი უინძორის სასახლეში ცხოვრობდნენ უსაფრთხოების მიზნით.

როდესაც ინგლისმა ომი გამოუცხადა გერმანიას, გეორგ VI სამი წლის გამეფებული იყო. ის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნა ბრიტანეთის ხელისუფალი, როცა მისმა უფროსმა ძმამ, მეფე ედუარდ VIII ტახტზე უარი თქვა 1936 წლის დეკემბერში, ამერიკელ უოლის სიმპსონზე დაქორწინების მიზნით. არც გეორგი, არც მისი ოჯახის წევრები სამეფო კარის ცხოვრებისთვის მზად არ იყვნენ, მაგრამ მსოფლიო ომში ბრიტანეთის ჩართვის შემდეგ მათ ღირსეულად დაიკავეს ადგილი ჯერ საკუთარი ხალხის გვერდით, შემდეგ კი – მათ გულებშიც.

ბაკინგემის სასახლე ბლიცის დროს ცხრაჯერ დაიბომბა გამიზნულად. მეფე გეორგი და მისი მეუღლე, დედოფალი ელიზაბეთი კარჩაკეტილ ცხოვრებას არ ეწეოდნენ. დაბომბვებს შორის ისინი ქალაქის განსაკუთრებით დაზიანებულ უბნებში მიდიოდნენ და ხალხს ამხნევებ-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

დნენ. ლონდონელები ყოველდღიურად ხედავდნენ სამეფო ოჯახის გულწრფელ ზრუნვას. მეფე ბრიტანული ჯარების სანახავად საფრანგეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაშიც გაემგზავრა.

მეფე გეორგ VI-მ წმ. გიორგის მედალი და წმ. გიორგის ჯვარი დააწესა, რომლითაც აჯილდოვებდა განსაკუთრებულ ქვეშევრდომებს მიმდინარე ომში გამოჩენილი გმირობისთვის. დღეს წმ. გიორგის ჯვარი ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოა ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის. მასზე მაღალი ჯილდო მხოლოდ ვიქტორიას ჯვარია. 1942 წელს წმ. გიორგის ჯვარი გადაეცა მალტას იმის აღსანიშნავად, რომ ამ პატარა კუნძულმა არაჩვეულებრივი სიმტკიცე გამოამჟღავნა გერმანელების ალყის დროს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში წმ. გიორგის ჯვარი 155 ადამიანს გადაეცა, მათ შორის 84-ს, გარდაცვალების შემდეგ.

## 7. ომის დასასრული

მართალია, გერმანელებს გაცილებით მეტი თვითმფრინავი და პილოტი ჰყავდათ, ბრიტანელებმა შეძლეს ულმობელ საჰაერო რეიდებს გამკლავებოდნენ, ღირსეული პასუხი გაეცათ ფაშისტებისთვის და სამშობლო გადაერჩინათ. საჰაერო ბრძოლის მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა რადარების არსებობამ. მათი საშუალებით ინგლისელები დროულად იგებდნენ სად და როდის გამოჩნდებოდა მტერი. ამიტომ ყოველთვის ჰქონდათ საკმარისი დრო, ცაში აფრენილიყვნენ და დაეცვათ ქვეყანა.

დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალებსა (RAF) და გერმანიის სამხედრო ავიაციას (Luftwaffe) შორის ბრძოლის დროს 1000 ბრიტანული და 1800 გერმანული თვითმფრინავი განადგურდა. ფაშისტური გერმანია პირველებმა ინგლისელებმა დაამარცხეს 1940 წლის 31 ოქტომბერს, რო-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ცა მსოფლიოს ნომერი პირველი მტრის საბოლოო განადგურებამდე ხანგრძლივი ხუთი წელი რჩებოდა.

საინტერესოა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულებასაც რამდენიმე ეტაპი და, შესაბამისად, რამდენიმე თარიღი აქვს.

1945 წლის 30 აპრილს ადოლფ ჰიტლერი მოკვდა.

7 მაისს გერმანიამ უპირობო კაპიტულაციას მოაწერა ხელი რაიმსში, რომელიც ძალაში მეორე დღიდან შევიდა.

სტალინის მოთხოვნით, ხელმოწერა გაიმეორეს ბერლინში 8 მაისის საღამოს, როცა საბჭოთა კავშირში უკვე ნაშუაღამევი იყო. ამიტომ, ფაშიზმზე გამარჯვება 9 მაისის დილას გამოაცხადეს. ეს თარიღი დაკანონდა გამარჯვების დღედ საქართველოშიც. ასე დასრულდა მსოფლიო ომი ევროპისა და დასავლეთ აზიის ტერიტორიაზე, თუმცა იაპონია კიდევ რამდენიმე თვე არ დანებდა მოკავშირეთა ძალებს და ბრძოლა განაგრძო.

1945 წლის 6 აგვისტოს ჰიროსიმაში, ხოლო 9 აგვისტოს ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარეს ამერიკელებმა. 8 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა იაპონიას და მანჯურიაში შეიჭრა. ამის შემდეგ იაპონიის მთავრობამ იმპერატორი კაპიტულაციაზე დაითანხმა და 15 აგვისტოს ჰიროჰიტომ რადიოთი გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ. 2 სექტემბერს იაპონიამ ოფიციალურად მოაწერა ხელი დანებების დოკუმენტს აშშ საომარ ხომალდზე „მისური“, იაპონიის ყურეში.

ასე დასრულდა ყველაზე მასშტაბური ომი მთელს მსოფლიოში. თანამედროვე მსოფლიოს, თითქმის, ყველა ქვეყანაში დღემდე ახსოვთ, იციან და საუბრობენ მასზე. ლამის, არ არსებობს ადამიანი, რომლის წინაპარსაც როგორღაც არ შეეხო ეს საშინელება. თითქმის, ყველა ოჯახს აქვს მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული საკუთარი ისტორია, რომელსაც პერიოდულად იხსენებს და ყვება.



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

## 8. წითელი ყაყაჩოს სიმბოლო

პირველი მსოფლიო ომი (1914-1918), ძირითადად, დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ოდესღაც ლამაზი მდელოები ბრძოლების შემდეგ ტალახიან, უნაყოფო ტერიტორიებად გადაიქცა, სადაც ბალახს ამოსვლა უჭირდა. ფაქიზი, მაგრამ ადაპტაციის უნარის მქონე ფლანდრიული ყაყაჩოები კი ათასობით აყვავდა შუა ომის ქარცეცხლში. 1915 წლის 3 მაისს კანადელ სამხედრო ექიმს, პოლკოვნიკ ჯონ მაკკრეის ამ ულამაზესი ყვავილების ნაომარ ველზე ხილვამ დააწერინა ცნობილი ლექსი „ფლანდრიის მინდვრებში“,[24] რომელიც იპრის მეორე ბრძოლაში დაღუპული მეგობრის – ლეინტენანტ ალექსის ჰელმერის ხსოვნას მიუძღვნა. ეს ლექსი იმავე წლის 8 დეკემბერს ლონდონში გამომავალ ჟურნალ „პანჩში“[28] დაიბეჭდა და ძალიან სწრაფად გახდა პოპულარული.

ამერიკელმა პროფესორმა მოინა მაიკლმა ლექსის ეშხით დაიფიცა, რომ მკერდზე მუდმივად ექნებოდა მიმაგრებული წითელი ყაყაჩოს ყვავილი პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის ნიშნად. მან ასევე დაწერა საპასუხო ლექსი „ჩვენ რწმენას შევინარჩუნებთ“.[24] მოინა აბრეშუმის ნაჭრისგან გაკეთებულ ყაყაჩოებს ნაცნობ-მეგობრებს ურიგებდა და ითხოვდა, რომ წითელი ყაყაჩო ამერიკული ლეგიონის ხსოვნის ოფიციალურ სიმბოლოდ ეღიარებინათ. აშშ-ში სტუმრად მყოფი ფრანგი ანა გერინი 1920 წლის კონვენციას დაესწრო, რომელზეც ლეგიონმა მხარი დაუჭირა მოინა მაიკლის წინადადებას. შინ დაბრუნებულმა ფრანგმა ქალმა წითელი ყაყაჩოების გაყიდვა დაიწყო. ამგვარად ნაშოვნი ფულით ის ომში დაობლებულ ბავშვებს ეხმარებოდა. 1921 წელს გერინმა აბრეშუმის ყაყაჩოს ნიმუში ლონდონელ ვაჭრებს გაუგზავნა და ფელდმარშალ დაგლას ჰეიგის ყურადღება მიიპყრო. ბრიტანეთის სამხედრო ლეგიონი 1921 წელს ჩამოყალიბდა, 9 მილიონი აბრეშუმის ყაყაჩო შეუკვეთა და ამავე წლის 11 ნოემბერს გაყიდა. შემოსავალმა 106 ათასი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ეს თანხა პირვე-



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ლი მსოფლიო ომის ვეტერანების დასაქმებასა და დაბინავებას მოხმარდა.

1922 წელს მაიორმა ჯორჯ ჰაუსონმა ყაყაჩოს ფაბრიკა დააარსა, სადაც ბრძოლაში დაშავებული, ყოფილი სამხედროები დაასაქმა. დღეს ეს ქარხანა და ეილზფორდში არსებული ლეგიონის საწყობი მილიონობით ყაყაჩოს აწარმოებს ყოველწლიურად. ამ ყვავილზე მოთხოვნა იმდენად დიდი იყო ინგლისში, რომ შოტლანდიისთვის ლამის აღარ რჩებოდა. ამიტომ 1926 წელს ედინბურგში დაარსდა „ლედი ჰეიგის ყაყაჩოს ქარხანა“ უშუალოდ შოტლანდიის ბაზრისთვის. ყოველწლიურად 5 მლნ-ზე მეტი შოტლანდიური ყაყაჩო, რომელიც ინგლისურისგან განსხვავდება – ოთხი ყვავილის ფურცელი აქვს და უფოთლოა, ძველებურად ხელით მზადდება ინვალიდი ვეტერანების მიერ. წითელი ყაყაჩოების ტარების ტრადიცია ბრიტანეთის მთელ იმპერიაში გავრცელდა.[25]

დროთა განმავლობაში ყაყაჩო, პირველი და მეორე მსოფლიო ომების გარდა, ნებისმიერ სისხლიან კონფლიქტში დაღუპულთა ხსოვნის სიმბოლოდაც გადაიქცა. თანამეგობრობის ქვეყნებში ოქტომბერ-ნოემბერში და არა მხოლოდ 11 ნოემბერს ან ხსოვნის კვირადღეს,[33] მოსახლეობის დიდი ნაწილი წითელ ყაყაჩოს ტანსაცმელზე მიმაგრებულს ატარებს. უკიდურესად პატრიოტი ინგლისელები მთელი წლის განმავლობაში უკეთებენ დემონსტრირებას ამ ყვავილს, როგორც სისხლიანი ომების მუდმივ გახსენებას. ხშირად მათ მანქანაზე აქვთ მიმაგრებული წითელი ყაყაჩო. ეს ტრადიცია თანდათანობით საერთაშორისო ხდება და მთელ მსოფლიოში იკიდებს ფეხს.

ყაყაჩოს სიმბოლო ქართული ისტორიისა და პოეზიისთვისაც განსაკუთრებულია. 1940 წელს ლადო ასათიანი „კრწანისის ყაყაჩოებში“[1] გმირ სამას არაგველს მიმართავს. ანა კალანდაძის არაერთ ლექსშია ნახსენები ამ განსაკუთრებული ყვავილის ფენომენი სათისხალიანი ყაყაჩოსა („ამ სურით სვამდნენ“)[2] თუ ყაყაჩოს სალხინო ღვინის („ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“)[3] სახით. მურმან ლებანიძემ, თითქოს, არა



BRAMS Journal No. 1 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიული ფილოსოფია ჩაატია მოკლე ფრაზაში:

„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...“[4]

## ლიტერატურა ▫ References


1. ასათიანი ლადო, **კრწანისის ყაყაჩოები**, პროექტი „ბიბლიოთეკა სკოლას“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (www.nplg.gov.ge)
2. კალანდაძე ანა, **ამ სურით სვამდნენ**, (www.aura.ge)
3. კალანდაძე ანა, **ჟუჟუნა წვიმა მოვიდა**, (www.poetry.ge)
4. ლებანიძე მურმან, **უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი**, პროექტი „ბიბლიოთეკა სკოლას“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
5. „ფესვები“ (1987, რეჟისორი – ყარამან (გუგული) მგელაძე, სცენარის ავტორი – სულიკო ჟღენტი). მთავარი პერსონაჟის, გიორგი ზაქარეიშვილის (მსახიობი – დოდო აბაშიძე) ციტატა: „გახსოვდეს, ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, არამედ ფესვებიდან. შენი ფესვები იქ არის – საქართველოში“.
6. ჭავჭავაძე ილია, **დავით აღმაშენებელი**, გაზ. „ივერია“, №17, 1888 წელი.
7. *7 pilots who flew in the Battle of Britain*, by IWM Staff, Imperial War Museums, 11 January 2018 (www.iwm.org.uk)
8. *A History of Warwickshire*. Terry Slater, London: Phillimore, 1981.
9. Arthur, Max (2010), *Last of the Few: The Battle of Britain in the Words of the Pilots Who Won It*, Virgin Books, ISBN-13: 978-0753522271
10. Battistelli, Pier Paolo (2007), *Panzer Divisions: The Blitzkrieg Years 1939-40 (Battle Orders)*, Osprey Publishing. ISBN-13: 978-1846031465
11. *Battle of Britain*, International Churchill Society, Retrieved on 4 April 2019 (www.winstonchurchill.org)




ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

12. *Battle of Britain: a day-by-day chronicle, 10 July 1940 to 31 October 1940*. Patrick Bishop, London: Quercus, 2010.
13. Bishop, Patrick (2009), *Battle of Britain: A day-to-day chronicle, 10 July–31 October 1940*, London: Quercus Publishing Plc. ISBN: 978-1847249845
14. Clark, Lloyd (2017), *Blitzkrieg: Myth, Reality and Hitler's Lightning War – France, 1940*, Atlantic Books. ISBN-13: 978-1782391364
15. Clark, Lloyd (2009), *Crossing the Rhine*, Grove Press / Atlantic Monthly Press. ISBN-13: 978-0802144300
16. *Coventry: History and Guide*. David McGrory, Dover, N.H.: A. Sutton, 1993.
17. Cruickshank, Dan, *The German Threat to Britain in World War Two*, BBC History, 21 June 2011.
18. Dader, Khalid, *John McCrae's In Flanders Fields: Short Analysis and Interpretation*, *Orrec* magazine, 19 March 2019.
19. Deignton, Len (2014), *Fighter: The True Story of the Battle of Britain*, William Collins; UK edition. ISBN-13: 978-0007531189
20. Dildy, Douglas C. (2018), *Battle of Britain 1940: The Luftwaffe's 'Eagle Attack' (Air Campaign)*, Osprey Publishing. ISBN-13: 978-1472820570
21. *Directive No. 6 For The Conduct Of The War*, The Supreme Commander Of The Armed Forces, Berlin, 9 October 1939.
22. Frieser, Karl-Heinz (2013), *The Blitzkrieg Legend: The 1940 Campaign in the West*, Naval Institute Press. ISBN-13: 978-1591142959
23. *German attempt to invade England 1942*, by CSV Action Desk, Article ID: A5653262, Contributed on 9 September 2005, An archive of World War Two memories – written by the public, gathered by the BBC, Retrieved on 25 October 2018.
24. Granfield, Lina, and John McCrae (2000), *In Flanders Fields: The Story of the Poem by John McCrae*, Canada: Stoddart Publishing. ISBN-13: 978-0773759251
25. Graves, Dianne (1997), *A Crown of Life: World of John McCrae*, Spellmount Publishers, Ltd. ISBN-13: 978-1873376867
26. *Introduction to the Phases of the Battle of Britain*, Royal Air Force Museum website, Retrieved on 2 May 2018.
27. Limbach, Raymond, *Blitzkrieg: Military Tactic*, Encyclopaedia Britannica, 8 January 2020.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

28. McCrae, John, *In Flanders Fields*, original published in *Punch* magazine, 8 December 1915; The Great War 1914-1918.
29. McKinstry, Leo, *The unsung plane that REALLY won the Battle of Britain: The Hawker Hurricane gets its rightful place in history*, The Daily Mail, 10 July 2010 (www.dailymail.co.uk)
30. McNaughton, Frank, *Roosevelt Deplores German Bombings*, The Pittsburgh Press, 19 September 1939, p. 8.
31. *Operation Sealion*, Citation: C N Trueman "Operation Sealion", History Learning Site, 18 December 2019.
32. Pinkstone, Joe, *How Germany could have WON the Battle of Britain: Mathematical study proves the Luftwaffe would have defeated the RAF if they had started THREE WEEKS earlier and focused on bombing airfields rather than cities*, The Daily Mail, 10 January 2020 (www.dailymail.co.uk)
33. *Remembrance Day: Lest we forget*, Canadian Broadcasting Corporation, 2010-11-10.
34. Ronald, Reagan, *Farewell Address to the Nation*, 11 January 1989 (www.reaganfoundation.org)
35. Russell, Shahan, *The four phases of the Battle of Britain explained*, War History Online (the place for military history news and views), 11 September 2016 (www.warhistoryonline.com)
36. Safire, William (2008), *Safire's Political Dictionary*, New York, NY: Oxford University Press. "This is not a Phoney War", p. 539. ISBN: 978-0-19-534334-2
37. Sarkar, Dilip (2019), *Spitfire!: The Full Story of a Unique Battle of Britain Fighter*, Air World, Philadelphia: Pen & Sowrd Books, Ltd. ISBN-13: 978-1526732811
38. *Strategy for Defeat: the Luftwaffe, 1933-1945.* Williamson Murray, Honolulu, Hawaii: University Press of the Pacific, 2002.
39. *The Battle of Britain: The Myth and the Reality.* Richard J. Overy, New York: W.W. Norton, 2001.
40. *The Blitz*, Royal Air Force Museum website, Retrieved on 2 May 2018 (www.rafmuseum.org.uk)
41. *The Blitz – The Hardest Night 10/11 May 1941, 11:02pm – 05:57am*, Royal Air Force Museum website, Retrieved on 2 May 2018 (www.rafmuseum.org.uk)
42. *The Bombing War: Europe 1939–1945.* Richard J. Overy, London & New York: Allen Lane, 2013.
43. *The Burning Blue: A New History of the Battle of Britain.* Paul Addison and Jeremy Crang, London: Pimlico, 2000.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

44. *The Coventry We Have Lost,* Vol. 1, Albert Smith and David Fry, Berkswell: Simanda Press, 1991.
45. *The Coventry We Have Lost,* Vol. 2, Albert Smith and David Fry, Berkswell: Simanda Press, 1991.
46. *The History of Air Intercept Radar & the British Night fighter 1935–1939*. Ian White, Barnsley: Pen & Sword, 2007.
47. *The Luftwaffe Bombers' Battle of Britain*. Chris Goss, Crecy. 2000.
48. *The Myth of the Blitz*. Angus Calder, London: Pimlico, 2003.
49. *The Phoney War*, History Learning Site, Citation: C N Trueman, Retrieved on 20 December 2019 (www.historylearningsite.co.uk)
50. *The War on London: Defending the City from the War in the Air: 1932-1942*. Lucy Allwright, Coventry: University of Warwick, 2011.
51. *When was the Battle of Britain and why did Germany lose it?*, History Hit, 10 July 2018 (www.historyhit.com)
52. *Where did the idea to sell poppies come from?* BBC News, 2006-11-10.
53. *Who, What, Why: Which countries wear poppies?* Rema Rahman, BBC News, 2011-11-09.
54. Whyte, Bert (2011), *Champagne and Meatballs: Adventures of a Canadian communist*, editted and with an introduction by Larry Hannant, Edmonton: Athabasca University Press. p. 17. ISBN: 978-1-926836-08-9
55. *Will there be a World War 3 and who would win?* by Patrick Knox, Neal Bakers, Mark Hodge, Jon Rogers and Sofia Petkar, The Sun, 23rd April, 2018.
56. *Wings of Freedom: Twelve Battle of Britain Pilots,* Norman Franks, London: William Kimber, 1980.
57. *WW2: What was the secret to winning the Battle of Britain?*, BBC Teach, Retrieved on 28 June 2019 (www.bbc.co.uk)
58. Zetterling, Niklas (2017), *Blitzkrieg – From the Ground Up*, Casemate. ISBN-13: 978-1612004600
59. *Battlefield Britain* (BBC television documentary series)
60. *Battle of Britain* (1969, Laurence Olivier as Hugh Dowding)
61. *The Bombing of Coventry* (2009, BBC Television)
62. *Churchill's Island* (1941, propaganda film)
63. *Dad's Army* (1968, TV series)
64. *Dark Blue World* (2001)
65. *Eagles Over London* (1969)
66. *Goodnight Sweethearet* (1993-2016, TV series)


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

67. *Pearl Harbor* (2001)
68. *Piece of Cake* (1988, ITV mini-series)
69. www.bbc.co.uk
70. www.britannica.com
71. www.cbc.ca
72. www.coventrycathedral.org.uk
73. www.der-fuehrer.org
74. www.greatwar.co.uk
75. www.historylearningsite.co.uk
76. www.historic-uk.com
77. www.nplg.gov.ge
78. www.orrec.com
79. www.rafmuseum.org.uk
80. www.thesun.co.uk
81. www.theweek.co.uk


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)